დასკვნა:**დ02.37203301**
თარიღი:**25/11/2020**

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის და

აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხთაკომისიების ერთობლივი

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადის პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შესაბამისად, საბიუჯეტო განაცხადი ხარვეზიანია და იგი აუცილებლად უნდა გადამუშავდეს. ზოგადად ბიუჯეტის პროექტის რაოდენობრივი პარამეტრების შემცირება 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, გამოწვეულია ობიექტური ფაქტორების ზემოქმედებით და იგი არ შეიძლება აღქმულ იქნას, მხოლოდ როგორც მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესების მართვის სუსტი მენეჯმენტი შედეგი.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო განაცხადზე და მასზე თანდართული ბიუჯეტის პროექტზე კომისიის სხდომაზე დაფიქსირებული კონკრეტული შენიშვნების და რეკომენდაციების ნუსხა ასეთია:

1.მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი არ არის შესაბამისობაში პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიასთან. ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი მოითხოვს საფუძვლიან გადამუშავებას. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება პრიორიტეტების დოკუმენტის მეორე თავის 2.1 ქვეთავს - ‘შემოსავლებისა და ხარჯების აგრერირებული მაჩვენებელი“.

2.ბიუჯეტის პრიორიტეტი - „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ (პროგრამული კოდი 02 00), ქვეპროგრამები: „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“, „კომუნალური ინფრასტრუქტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები“ მოითხოვს განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების დაზუსტებას, მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგებისა და მათი შეფასების ინდიკატორების განსაზღვრას. პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერილობითი ნაწილი არასრულყოფილია და შესაბამისად, ვერ ასახავს მათი განხორციელების ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

3.პრიორიტეტის - „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლუატაცია“ დაფინანსება 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 7257,9 ათასი ლარით. დასაგეგმი 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი კი აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსებას ითვალისწინებს 5588,9 ლარით ანუ 1669,6 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით. მაშინ როდესაც, 2020 წლის 01 იანვრისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით (26211,6 ათასი ლარი) 2021 წლის 01 იანვრისათვის, ანუ დასაგეგმი წლის საბიუჯეტო ასიგნებები მცირდება 1107,6 ათასი ლარით,არ არის ლოგიკური ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების შემცირება ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული მოცულობით.

4.ქვეპროგრამა 02 01 -საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვას“ ღონისძიება - გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა განსაზღვრულია დაფინანსდეს 300,0 ათასი ლარით. სამწუხაროდ, გარდა ზოგადი ხასიათის აღწერილობისა, ბიუჯეტის პროექტში არ ფიქსირდება აღნიშნული პროგრამის განხორციელების ლოკაციები, რაც დაუშვებელია.

ზემოთ აღნიშნული ქვეპროგრამის (02 01) ღონისძიება „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დაფინანსება 2021 წლის პროექტის შესაბამისად გათვალისწინებულია დაფინანსდეს 90 ათასი ლარით. ზრდა 2020 წლის ბიუჯეტთან შედარებით შეადგენს 4, 0 ათას ლარს. მართალია, ღონისძიება „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დაფინანსების ზრდა არ არის მნიშვნელოვანი მოცულობის, მაგრამ თუ იგი არ არის ორიენტირებული განვითარებაზე, მაშინ ნებისმიერი ოდენობით დაფინანსების ზრდა, არარაციონალურია.

5. ქვეპროგრამა „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ – 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია დაფინანსდეს 2798,3 ათასი ლარით, მათ შორის: ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე 1548,3 ათასი ლარი, ელექტროენერგიის ხარჯი 650,0 ათასი ლარი, წყალსადენის, შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე - 600,0ათასი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ქვეპროგრამის ღონისძიებების - ელექტროენერგიის ხარჯისა და წყალსადენის შიდაქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის განხორციელების საბოლოო შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები გარკვეულწილად, თუმცა არასრულყოფილად, ასე თუ ისე წარმოდგენილია ბიუჯეტის პროექტში, ამასთან სრულიად გაუგებარია ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე ბიუჯეტის პროექტში მოცემული ანალოგიური მაჩვენებელთა სისტემები.

6. ღონისძიებების -სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, ჩაის ფესტივალის ჩატარება, ქალმეწარმეთა ეკონომიკური ფორუმის ჩატარება და ა. შ. სრულ თანხვედრაშია 2020 წლის ბიუჯეტში მოცემულ ანალოგიურ მაჩვენებლებთან. თეორიულადაც ძნელი წარმოსადგენია მსგავსის დაშვებაც კი, მაშინ როდესაც საქმე გვაქვს მუდმივად განახლებად და დინამიურ პროცესებთან. ამასთან, სამსახური, რომელიც მუნიციპალიტეტში ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებას ხელმძღვანელობს,საკმაოდ აქტიურია და რეალურად დებს გარკვეულ შედეგს.

7.ღონისძიება - კეთილმოწყობის სამუშაოები 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით ფინანსდება 500,0 ათასი ლარით. ღონისძიებების ჩამონათვალი კი ერთი-ერთში ემთხვევა 2020 წლის ბიუჯეტში ამავე ღონისძიებით განსაზღვრულ მაჩვენებლებს.

8. ქვეპროგრამა 02 01 - ის ღონისძიება „ბინათმშენებლობა“ 2021 წლის

ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად გათვალისწინებულია დაფინანსდეს 20,00 ათასი ლარით. ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად აღნიშნული თანხა უნდა მოხმარდეს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის კეთილმოწყობის სამუშაოებს. სამწუხაროდ, ბიუჯეტის პროექტში არ არის მოცემული კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებას დაქვემდებარებული სახლის მახასიათებლები და ადგილმდებარეობა.

9. მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებას. დაუშვებელია პროგრამულ ფორმატში წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში არ იყოს ასახული გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების ხარჯვის კონკრეტული ქვეპროგრამით განსაზღვრული განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალი. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს საშუალოვადიან პერსპექტივაში მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის მიმართულებით გარკვეული ხარვეზების არსებობას.

10. ქვეპროგრამა 02 05, რომელიც ითვალისწინებს გარე განათების, ეზოების კეთილმოწყობის, ქუჩების ნუმერაციისა და ფირნიშების დამზადებისა და სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებას, ერთი-ერთში ემთხვევა 2020 წლის ამავე ქვეპროგრამის მაჩვენებლებს.

11. პრიორიტეტის- დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსება 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულ დონესთან შედარებით (2300,0 ათ.ლარი) გაზრდილია 600,0ათ. ლარით და 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით შეადგენს 2900,0ათ ლარს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროგრამის დაფინანსების ზრდის აუცილებლობა არ დასტურდება პროგრამის აღწერილობით ნაწილში მოცემული საბოლოო შედეგებითა და მათი შეფასების ინდიკატორებით. საქმე იმაშია, რომ არც 2020 წლის ბიუჯეტში და არც დასაგეგმი 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში არ არის ასახული:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გასატანი ნარჩენების რაოდენობა;

- დასასუფთავებელი ტერიტორიის ფართობი მთლიანად მუნიციპალიტეტში;

- გამწვანებული ტერიტორიის ფართობი;

- დასარგავი ხეების (სახეების მიხედვით) რაოდენობა;

- შესაბამისი სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების შემცირების ან ზრდის მაჩვენებელში.

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების ბიუჯეტის პროექტში ასახვის გარეშე შეუძლებელია იმსჯელო შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსების ზრდის ეფექტურობაზე.

12. მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში პროექტი ნაკლებად არის ასახული საკრებულოს შესაბამისი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები. აღნიშნული ეხება ისეთი პროგრამების დაუფინანსებლობას როგორიცაა:

- სოფ. ცხემლისხიდის უჩხუბის უბნის მიმართულების გზის რეაბილიტაციას;

- სოფ. კონჭკათში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობას;

- სოფ. კონჭკათში მონასტერთან მისასვლელი გზის მოწყობას;

- სოფ. დვაბზუში ცენტრალური გზიდან სოფლის მიმართულებით არსებული გზის მოასფალტებას.

- სოფ. ბოხვაურში 700 გრ/მ გზის რეაბილიტაციას;

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ხარვეზიანია და შემოთავაზებული ფორმით, შინაარსითა და პარამეტრებით ვერ იქნება რეკომენდირებული დასამტკიცებლად.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი